ოთხშაბათი, 18 თებერვალი 1904 წ. | 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 | ოთხშაბათი, 18 თებერვალი 1904 წ.

# ივერია

№ 42 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 42

[stamp]

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

გამოდის იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი პრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:
1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სამონის ძე მომცელიძე.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გრძოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—14)

№ 1 ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

კვირას, 22 თებერვალს 1904 წ.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება თავ. ალექს. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

## ღალატი

ისტორიული ლეგენდა-დრამა 5 მოქ. ქართველთა ცხოვრებიდან, თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ნ. დავითაშვილი, ბ. რონელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი. ს. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი, ნ. გვარაძე, დ. ბაქრაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესები: „საქმის კაცი“, „სხვის ნაოხარზე“, „ცხოვრების გარედ“ „ექიმი შტოკმანი“, „დარღვეული კერა“ და სხვ.

ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

„ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

## ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ტყიბულის ქვა-ნახშირის სამთა-მადნო საზოგადოებისაგან**

«ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოების» გამგეობას ჰყავს ღუმელების გამოცდილნი გამკეთებელნი და გადამკეთებელნი, რომელნიც ისე მოაწყობენ ღუმელს, რომ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირით ხურდებოდეს, რაიცა 45%-ს ეკონომიას იძლევა შეშასთან შედარებით. ვისაც უნდა ამისთანა ღუმელების გაკეთება ან გადაკეთება, მიჰმართოს საზოგადოება „ნახშირის“ გამგეობას. სოლოლაკის ქუჩა, № 16. ტელეფონი 16. (3—1)

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირ დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვების ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავად მყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და **რეცეპტების დაწერის** ფასი ათი შაური, ღარიბთათვის **უფასოდ; ფასი** კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

რა განზრახვა აქვს იაპონიას, თუ გაიმარჯვა?—ადმირალ ვირენიუსის ესკადრა უკან მოდის.—„მანჯურიის“ დაპატიმრება.—ჩინეთის გენერლების უკმაყოფილება.—მეფე ედუარდი გემებს ათვალიერებს.—რა ჯდება ჯარის-კაცი ომის დროს.—ჩინელების ჯარი მანჯურიისაკენ.—რუსეთის სარგებლიანი ქაღალდები საფრანგეთში.

რა შედეგი უნდა ჰქონდეს იაპონიისათვის ომს, რომელიც ასე გაბედულად დაიწყო ძლიერ სახელმწიფოსთან, და რა სწადიან იაპონიას?

ამის პასუხს იძლევა ერთი იაპონელი დიპლომატი, რომლის აზრიც დაბეჭდილია «ფრანკფურტის გაზეთში». ამ ომმა დიდებული ეპოქა უნდა მოჰგვაროს აღმოსავლეთ აზიას. უწინარეს ყოვლისა, რუსეთს ფლოტი მოესპობა დიდს ოკეანეზე, პორტ-არტური, ლიაო-იანა, მუკდენი, ვლადივოსტოკი და ხაბაროვსკი ჩამოეცლებათ, შემდეგ დიდი კონტრიბუცია გადახდება (500 მილიონი იენი) და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა წაერთმევა თავის თანხებითათ.

ვსთქვათ, ცოტას ხანს დავთანხმდეთ, რომ იაპონიამ მოახერხა და დაიპყრა ყველა აღნიშნული ადგილები, შესაძლოა მას შემდეგ ეს ქვეყნები დაისაკუთროს და შიგ გამაგრდეს? მანჯურია ხომ ჩინეთისაა, პორტ-არტურიც მისია, ხოლო იჯარით არის გაცემული, დასთმობს ჩინეთი ან სხვა სახელმწიფოები, რომელნიც ჩინეთის სამფლობელოს ხელუხლებლობაზე შეთანხმებულნი არიან?

იაპონიის მთავრობამ ეს დაბრკოლება წინადვე იცოდა და ამის წამალიც მოფიქრებული აქვს. იაპონია სრულიად არა ჰფიქრობს მანჯურია დაისაკუთროს, ის ისევ ჩინეთის სამფლობელოდ დარჩება. იაპონია დროებით და ვადით დაიჭერს ამ ქვეყანას და შვიდის წლის განმავლობაში თანდათან გაანთავისუფლებს. ამ დროს ქვეყნის გამგებლობა შემდგარი იქნება იაპონიისა, ინგლისისა და ამერიკის მოხელეებისაგან (30 კაცისაგან), რომელნიც რეფორმებს შემოიღებენ და სამის წლის შემდეგ ქვეყნის კარს ყველა სახელმწიფოს გაუღებენ ვაჭრობისათვის. პორტ-არტურიც იაპონიას არ შერჩება, ის ჩინეთს დაუბრუნდება, როგორც სხვა პორტები: ვეი-ჰაი-ვეი და გერმანიის ნიაო-ჯოუ. არც ზღვის ნაპირა ქვეყანას დაისაკუთრებს იაპონია,—ვლადივოსტოკ-ხაბაროვსკით. ამ ქვეყანაში თვითმართველობა დაარსდება იაპონიისა ანუ სხვა სახელმწიფოს პროტექტორატობით. იაპონია მხოლოდ სახალინის კუნძულს დასჯერდება, რომელიც წინადაც თავის საკუთრებად მიაჩნდა. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაც იაპონიისა უნდა იყოს. იაპონიის დიპლომატი იმის წინააღმდეგი არ არის, რომ ჩინეთმა რუსეთს დაუთმოს მონგოლიის ნაწილი, უდაბნო გობის იქითა მხარეს. რადგან იაპონია ჩინეთს დიდს დახმარებას აძლევს მანჯურიის დასაბრუნებლად, ჩინეთიც ნებაყოფლობით დაუთმობს 25 წლის ვადით ორს თავის პორტს სამხრეთით—ამოისა და ფუჯუს, კუნძულ ფორმოზის პირდაპირ და თავის ინტერესების გულისთვის მიანდობს იაპონიას ხმელეთის ჯარის მოწყობასა და გაწვრთნას, ხოლო ინგლისს—ფლოტის გაძლიერებას. კორეაც თავისუფალ სახელმწიფოდ დარჩება, იაპონიის პროტექტორატობით.

რამდენად ეთანხმება დიპლომატის აზ-

რი იაპონიის მთავრობის სურვილსა და განზრახვას, ეს არავინ იცის, მაგრამ სიმართლეს-კი მოკლებული არ უნდა იყოს. უეჭველია, იაპონიამ თვისი აზრი წინადვე განუცხადა ინგლისსა და ამერიკას და თანხმობაც მიიღო, თორემ ასე გაბედულად იარაღს ვერ აისხამდა და ძლიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ ხელს ვერ გამოიღებდა. («რუს. ვედ.»).

«რეიტერის სააგენტო» იუწყებოდა პერიმიდგან, რომ იქ 6 თებერალს, ღამე, ესკადრამ გაიარა სუეცისაკენ. ჰფიქრობენ, ეს რუსეთის ესკადრა არის ადმირალ ვირენიუსის უფროსობით, ჯიბუთიდგან მომავალი.

გაზეთ «ტან»-ს შესაძლოდ მიაჩნია, რომ ეს რუსეთის ესკადრა იყო შინისაკენ მიმავალი. რადგან იაპონელებს ზღვა დაჭერილი აქვთ, რუსეთის ესკადრისათვის საშიში იქმნებოდა პორტ-არტურისაკენ წასულიყო. წინად რომ ბრძანება მიეღია ესკადრას ჯიბუთში გაჩერდიო, ეს იმის ნიშანი იყო, რომ წინ აღარ წასულიყო. უნდა წინადვე გვცოდნოდა, რომ ეს ესკადრა ვერ გაჰბედავს შორეულ აღმოსავლეთისკაენ წასვლას, ვიდრე არ შეუერთდება სამი ახალი ჯავშნიანი გემი: «ბოროდინო», «თავადი სუვოროვი» და «იმპერატორ ალექსანდრე III», რომლებიც პორტ-არტურის ესკადრის გასაძლიერებლად არიან დანიშნულნი. მაგრამ ეს გემები ჯერ მზად არ არის და ამის გამო ვირენიუსის ესკადრა ტყუილად უნდა გაჩერებულიყო ჯიბუთში, სადაც ძლიერ ცხელა და სხვაფრივაც ხელს უწყობს გემების დგომას. («რ. ვ.»)

—

დეპეშამ გვაცნობა, რომ რუსეთის სამხედრო გემმა გააჩერა ინგლისის საფოსტო გემი «მონგოლია» და გასჩხრიკაო. აი საქმე როგორ ყოფილა:

ინგლისის საფოსტო გემი «მონგოლია», რომელიც კერძო საზოგადოებას ეკუთვნის, ლონდონიდგან სიდნეის მიდიოდა. გზაზე შეხვედრია რუსეთის ჯავშნიანი გემი ოთხის ნაღმიანის გემით. ერთი ნაღმიანი გემი სცდილა გზა გადაეჭრა «მონგოლიასათვის», მაგრამ ვერ მოასწრო. მაშინ რუსეთის ესკადრა გაეკიდა და შორიდგან ანიშნა გაჩერებულიყო. «მონგოლია» გაჩერდა. მოწინავე ნაღმიანი გემი მიუახლოვდა და რომ დაათვალიერა, ანიშნა «ბოდიშს ვიხდიო». ჰფიქრობენ «მონგოლია» იაპონიის სავაჭრო გემი ეგონათ და რუსეთის ესკადრამ იმიტომ შეაჩერაო. (იქვე).

—

ამას წინად ვწერდით, რომ რუსეთის სამხედრო გემი «მანჯურია» შანჰაის მისულაო. იაპონიას მოუთხოვნია ჩინეთის მთავრობისათვის,—სამხედრო გემს, რომელიც მეომარ მხარეს ეკუთვნის, ნება არა აქვს სანეიტრალო სახელმწიფოს ნავთსადგურში თავს იფარავდეს და ამის გამო გაისტუმრეთ მანდედგანაო. იაპონიის გემები-კი დარაჯად უდგნენ, რომ დასცემოდნენ. რუსეთის კონსულის ჩაგონებით, ჩინეთის მართებლობამ შეუთვალა იაპონიისას, რომ «მანჯურიას» მოქმედება არ შეუძლიან, ისე სდგას როგორც არა სამხედრო გემი და ვიდრე ომი არ გათავდება, ადგილიდგან არ დაიძვრისო. «მანჯურიის» კაპიტანს განუცხადებია, ჩემმა მთავრობამ დამავალა, აქ ვიდგე ნეიტრალიტეტის დასაცველადაო. ესევე განაცხადა საფრანგეთის კონსულმაც.

იმავე «მანჯურიის» შესახებ შანჰაიდგან დეპეშით აცნობეს ინგლისის გაზეთებს, რომ რუსეთ ჩინეთი შეთანხმებულან და «მანჯურიას» იარაღს მოხსნიან. «რეიტერის სააგენტო»-კი იუწყება, ჩინეთის მთავრობამ ნება დართო «მანჯურიას» შანჰაის ნავთ-სადგურში დარჩეს, ხოლო იმ პირობით, რომ საჭე (რული) მოეხსნას და ცეცხლის გაჩაღებაც არ შეეძლოსო.

—

პეკინიდგანა და ძან-ძინიდგან იწერებიან, რომ გენერლებმა მაიკუნმა და ჩიანმა უკმაყოფილება უნდა განუცხადონ ბოლდიხანს ჩინეთის ნეიტრალიტეტის გამოო. იაპონიის მომხრეებმა იუანშიკაიმ და თელიანმა მიართვეს კიდეც მთავრობას მოხსენება, რომ იაპონიასთან ხელ-შეკრულობა დასდონ შესახებ ერთგვარის მოქმედებისა მტრის მოსაგერებლად, ან გასაძევებლად.

ინგლისის მეფე ედუარდი პორტსმუტს გაემგზავრა და დაათვალიერა გემები, სამხედრო სასწავლებელი და სხვა დაწესებულებანი. დიდის ყურადღებით გასინჯა წყალ-ქვეშ მცურავი ნავები, ნაღმიანი გემები და ახლად გამოგონილი საზღვაო იარაღი. ამ მოგზაურობას პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ. ამბობენ, ინგლისის მთავრობას შესაძლოდ მიაჩნია საფრანგეთის რჩევა შორეულ აღმოსავლეთის ომში, და ამის გამო ინგლისიც მზად უნდა იყოსო. («რ. ვ.).

—

წარსული რუსეთ-ოსმალეთის ომი რუსეთს 1,075 მილიონი მანეთი დასჯდომია. აქედგან 500 მილიონი სურსათ-საცხოვრებელს მონდომებია. ჯარის გადაყვან-გადმოყვანა და ბარგის ზიდვა 200 მილიონზე მეტი დამჯდარა, აქედგან სჩანს, რა დიდი ხარჯი უნდება სურსათსა და გზას.

მანჯურია ხომ ბევრად შორს არის,—ამბობს «რ. ვ.»,—და სურსათიც არ იშოვება მცირედ დასახლებულ ქვეყნებში, საითაც ციმბირის რკინის გზა გადისო. ჯარი და სურსათი აქედგან უნდა იგზავნებოდეს და, რასაკვირველია, ძვირად დაგვიჯდებაო. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს თითო ჯარის კაცი დღეში 2 მ. 50 კ. გვიჯდებოდა და მას აქეთ ხომ ხარჯმა თავისთავად იმატა. 1874 წელს თუ 225 მანათი გვიჯდებოდა თითო კაცი, 1896—376 მანათი იხარჯებოდა. ეხლანდელ ომის დროს ხომ ესეც საკმარისი არ არისო.

—

საფრანგეთის ესკადრას, რომელიც ბრესტიდგან მიდიოდა შორეულ-აღმოსავლეთისაკენ, ხალხი ბლომად დახვედრია ნავთსადგურზედ ჰყვირ ლით: «გაუმარჯოს რუსეთსაო». ერთი კრეისერი ტულონიდგან შერბურგს მიდის, რომ ორი წყალ-ქვეშ მცურავი ნავი გაიყოლიოს შორეულ-აღმოსავლეთისაკენ. შემდეგ კიდევ დაბრუნდება, რომ ამისთანავე ნავები გადაიტანოს. («ნ. ვ.»).

—

ლონდონის გაზეთებს აცნობებენ დეპეშით ჩიფუდგან, რომ იაპონელები გოლუბინის ნავთსადგურში გადასულან ხმელეთზე, პორტ-არტურის დასავლეთით, ხოლო მეორე ნაწილი — ტალიენვანის ნავთსადგურში. 40 ათასი იაპონელი კიდევ გადაუყვანიათ ჩემულპოში.

ტიან-ძინიდგან იწერებიან: ლიაო-იანგსთან 2 ათასი ჩინელი ჯარის კაცი რუსებს თავს ესხმის და სძარცვავსო. რკინის გზის სადარაჯოდ ჩინელებს დაუყენებიათ 1500 ჩან-თუ-ფუსთან, სინმინტინს—1800, თუ-თაისთან—750 და ლიაოდინგზე - 2250 ჯარის კაცი.

ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჩინელებს ექვსი ავაზაკთა ცხენოსანი დასი შეუდგენიათ, რომელნიც აპირებენ ტელეგრაფი გასწყვიტონ და რუსეთის რაზმები შეიპყრონ ვიდრე იაპონელები გაჩნდებოდნენ. ვიცე-კოროლ იუანშიკაის ბრძანება მიუღია იაპონიის ჯარს შეუერთდეს და ევროპიულად ნასწავლ ჯარის სარდლად დაუნიშნავს გენერალი მან-კუნა. ამ ჯარში, რომელიც სდგას მდინარე ლიაოხეს დასავლეთით, ითვლება 40,000 ინფანტერია და 5,000 მხედარი, 96 ახალ სისტემის ზარბაზნით. იანძედგანაც უნდა მოვიდეს 15,000 ქვეითი ჯარი. «ნ. ვრ.»).

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მოუკლავთ 36,000 რუსის ჯარის კაცი, ხოლო ავადმყოფობით, რომლის მიზეზიც ცუდი სანიტარული მდგომარეობა ყოფილა, მომკვდარა 81,000 კაცზე მეტი. ეს გაკვეთილი არ უნდა დაგვავიწყდესო,—ამბობს ერთი სამხედრო ექიმი «რუსინ»-ში,—და ეხლავე უნდა ვეცადნეთ ჯეროვანი ღონისძიება მივიღოთ, თორემ შორეულ აღმოსავლეთში საქმე გვექმნება გაუნათლებელ და ტურტლიან ხალხთან, რომელიც ხელს უწყობს სხვა-და-სხვა მოარულის გაჩენასა და მოდებასაო. («ნ. ვ.»).

—

ფრანგული გაზეთი «ლანტერნე» ამბობს, საფრანგეთის ფინანსური მდგომარეობა ცუდად არისო. საფრანგეთს უჭირავს რუსის რენტა (4% ქაღალდები) ათ მილიარდისა და მომეტებული წვრილ-წვრილად არის გაფანტული. თუ რომ კიდევ შიშის ხმა გაისმა შორეულ აღმოსავლეთიდგან მცირე დამარცხების გამო, მაშინ ბირჟები აივსება რუსულ სარგებლიან ქაღალდებით, ფასი დაეცემა და მრავალნი გაღატაკდებიანო. შემდეგ გარემოება გვაიძულებს ომშიაც ჩავერიოთ, რადგან რუსულის ქაღალდების პატრონები ეცდებიან და ძალას დაატანენ საფრანგეთს, რომ დაეხმაროს მოკავშირე სახელმწიფოს.

ბირჟის აღელვებით სარგებლობს ნაციონალური და კლერიკალური მწერლობა კომბის სამინისტროს წინააღმდეგ, აწინდელ გარემოებაში გამჭრიახობა ვერ გამოიჩინაო. („პ. ვ.“).

—

ლონდონში ხელის მოწერით 2,000 სტერლინგი (20,000 მან.) შეუკრებიათ ომში მოკლულ იაპონელ ჯარის კაცთა ქვრივებისათვის. (იქვე).

## ტფილისი

კვირას ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტნი თავ. ა. სუმბათაშვილის „ღალატი“-ს წარმოადგენენ.

როგორც გადმოგვცეს, თავ. ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ სომხურად გადაუთარგმნიათ და ამ დიდ-მარხვაში აპირებენ სომხურად წარმოადგინონ.

მოკლე ხანში ქალაქის გამგეობა მსჯელობას იქონიებს საადრესო სტოლის წარსოების შესახებ. როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობას უნდა თვითონ ჩაიბაროს საადრესო სტოლი.

წითელის ჯვრის მოსკოვის საზოგადოება აცხადებს, რომ საჭიროა შორეულ აღმოსავლეთში საჩქაროდ გაიგზავნოს სხვა-და-სხვა ნივთები და სანოვაგე: თბილი ტანთსაცმელი, ქუდები, ჩაი, მწვანილი, თამბაქო, არაყი, საკაცე, საცვლები, იარაღები, სამკურნალო საგნები და სხვა.

როგორც მკითხველთ უწყიან, ვერაზე ამთავრებენ ამ ჟამად სათავად-აზნაურო სკოლის მომავალ სადგომს. ამ ადგილას სხვა-და-სხვა კაცთაც აქვთ საკუთარი მიწები, რომელზედაც განუზრახავთ სახლები ააშენა. ეჭვი არ არის, ეს ადგილი მოკლე ხანში სახლებით გაივსება და ქალაქის საზღვარშიაც შევა. ქალაქს ამ ადგილიდან ჰყოფს ერთი ხევი, რომელზედაც უსათუოდ საჭიროა ხიდის გაკეთება. ამ ხიდის გაკეთება განიზრახეს მემამულეებმა. აირჩიეს საგანგებო კომისია, რომელმაც წინადადება უნდა მისცეს ბელგიის უსახელო საზოგადოებას, რომ მიუდგეს მათ ხიდის გაკეთებაში, რადგან მოკლე ხანში ცხენის რკინის გაყვანა მოუნდება. მოლაპარაკება კომისიასა და ბელგიის უსახელო საზოგადოებას შორის ამ დღეებში გაიმართება.

ტფილისის გადამწერთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება დანიშნულია 22 თებერვლისათვის. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

რიყის მცხოვრებნი ვერ მოესწრნენ, რომ წყალდიდობის დროს უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ. ათასჯერ მიუმართავთ ქალაქის გამგეობისთვის, მაგრამ მათი თხოვნა ათასჯერვე უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. როდესაც გაზაფხული დადგება, ქალაქის გამგეობა აღძრავს ხოლმე საკითხს ამ საგნის შესახებ და გადაუწყვეტლად სტოვებს... ახლა ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ღონისძიებანი იხმარეთ, რომ უზრუნველ იყვნენ წყალ-დიდობის დროს რიყის მცხოვრებნიო.

ხმოსანმა ა. ბაბოვმა ამ დღეებში დაასრულა ფულის დარიგება ავლაბარში მცხოვრებ ღარიბთა შორის. ფული სულ 438 კაცისათვის მიუცია: თითოსთვის ა მანეთიდან [illegible]0 კაპეიკამდე.

ბ-ნმა კრასოვმა ორი სეზონი დაჰყო ტფილისში. რაც ორის წლის განმავლობაში რეკვიზიტი შეიძინა, ავლაბრის სახალხო (მურაშკოს) თეატრს შესწირა.

თავ. დავით ალექსან. გურამიშვილმა 100 მანეთი შესწირა რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად.

ტფილისის გუბერნატორის კანცელარია შეუდგა ტფილისის გუბერნიის 1903 წ. ანგარიშის შედგენას.

ტფილისის პირველ-დაწყებით სკოლებში დიდძალი ბავშვები მიჰყავთ, მაგრამ ზოგ მათგანს უადგილობისა გამო უარს ეუბნებიან. ამიტომ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ განიზრახა, მომავალ სამოსწავლო წლიდან ზოგიერთ სკოლებთან, სადაც ბევრი ბავშვები მიჰყავთ, პარალელური კლასები დააარსონ. წელიწადში პარალელურ კლასებზე ვარაუდით 6,360 მანეთი დაიხარჯება.

მოკლე ხანში კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ტფილისის გუბერნატორის კანცელარიას წარუდგენს ანგარიშს თავის მოქმედებისას 1903 წლის განმავლობაში. ამას გარდა სამეურნეო საზოგადოება მიაწვდის ცნობათ ტფილისის გუბერნიაში მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

ხუთშაბათს, 19 თებერვალს, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრთა, რომელთაც საზოგადოების ანგარიში უნდა განიხილონ წარსულის წლის განმავლობაში.

პარასკევს, 20 თებერვალს, დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა. კრებას რამდენიმე საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი.

მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის გამგეობა განიხილავს ბ-ნ სტ. კრელაშვილის მოხსენებას ტფილისის ქალაქის მთაგორიან ადგილების მოწესრიგების შესახებ.

სამეურნეო საზოგადოებამ განიზრახა. მკურნალნი გაჰგზავნოს სხვა-და-სხვა დაბა სოფლებში, რაიმე ავადმყოფობა ხომ არ არის გავრცელებული მცხოვრებთა შორისო.

ამას წინად ჩვენ გვქონდა მოხსენებული, სუბოტინის სახლს 13 თებერვალს ცეცხლი წაეკიდაო. ეს ცნობა არ იყო სავსებით მართალი და სრული. საქმე ასე იყო: 13 თებერვალს, დილის რვის ნახევარ საათზედ, ვაგზლის ქუჩაზე, სუბოტინის სახლში მოვაჭრის იაგორ ცოფურაშვილის ბიჭს ლამფებში ნავთის ჩასხმის და გასწორების დროს უცაბედად მოჰკიდებია ცეცხლი და ბიჭი მთლად ცეცხლში გახვეულა. ყველანი ბიჭს მისცვივნიან და ცეცხლი ზევით კარებისაკენ გაქანებულა, მოსდებია ზემო სართულის კიბეს (ცოფურაშვილი აქა სცხოვრობდა) და ხმელ მასალას. როგორც მოგეხსენებათ, ხელ-უკუღმართ მშველელთ ოჯახი მთლად აუნარიკლებიათ. ნაღდ ფულთან გაუტაცნიათ ოქრო-ვერც-

# ფელეტონი

## გაიძვერაობის (ინტრიგების) სეზონი.

«გაჩუმება დათანხმობის ნიშანიაო»—ამბობს ანდაზა, მაგრამ განა ყოველთვის? ზოგჯერ სხვა მიზეზიც იწვევს სიჩუმეს--უფრო პატივსადები და საფაქიზო. შესაძლებელია, ერთმა ვინმემ გაიმაგროს შუბლის კანი, მოგდგეს ურიგოდ, უპატიოდ მოგიხსენიოს, უკადრისები გჰკადროს, ცილი დაგწამოს და შენ-კი მაინც ხმა არ გასცე... წაუყრუო. პატივცემულმა მკითხველმა, როგორც ენებოს, ისე ახსნას, მაგრამ ჩვენ-კი სწორედ ამ მეორე მიზეზით უპასუხოდ ვსტოვებთ «ცნობის ფურცელში» დასტამბულ წერილს, სახელდობრ «სიცრუის სეზონი». და პირდაპირ გადავდივართ «ღალატის» ისტორიაზე. ამ სეზონში თ. სუმბათაშვილის დრამამ «ღალატმა» თავი იჩინა. მთელი რუსეთი აღტაცებით მიეგება მას. ადგენდნენ ყოველ ქალაქში, სადაც-კი თეატრი იყო, ზედი-ზედ, მიჯინებით. ანტრეპრენიორებმაც სული მოიბრუნეს. რაღა თქმა უნდა, რომ ქართველებსაც ხელი უნდა ჩაევლოთ მისთვის. და ქართულ დრამატიულ გამგეობის წევრებიც შეუდგნენ საქმეს.

სწორედ ამ დროს გამოხტა არტისტი კ. მესხი და მიჰმართა გამგეობას: ავტორმა მე დამავალა ამ პიესის ქართულად გადათარგმნა და ჩემ ბენეფისში დადგმაო. და თქვენც ნულა შემიშლით ხელს! მე გადავთარგმნი ჩემ საბენეფისოდ. ზეინაბის როლის შემსრულებლად ჩემ დას ეფემიას გამოვიხმობ ბაქოდან და მერე-კი თქვენ დაგრჩებათ ის ჩემი ნათარგმნი და წარმოადგინეთ ხოლმეო. მხოლოდ ჩემ დას-კი მოურიგდით, თუ რამდენს დაგჯერდებათ ყოველ წარმოდგენაშიო. კომიტეტმა დაუჯერა, დაეთანხმა, ეფემია მესხის ქალი მოიწვია და დაიმშვიდა გული. კ. მესხმა საბენეფისოდ ვითომ ვეღარ მოასწრო პიესის გადათარგმნა; სხვა პიესა აირჩია და როცა კარგა დიდი დრო გაატარა, მაშინ გადსცა თარგმანი კომიტეტს: აბა, დროს ნულა ჰკარგავთ, საცენზურო ნება-რთვა აიღეთო! როცა მართლა ყველაფერი დამზადდა, შევუდექით როლების დარიგებას. მე, როგორც რეჟისორს, ნება მქონდა არავის დავკითხებოდი, მაგრამ, როგორც ზრდილობა მოითხოვდა, მოვიწვიე კოტე მესხი და მასთან შეთანხმებით, თითქმის სულაც მის სურვილ-ნებაზე, დავუნიშნეთ არტისტებს მათ-მათი შესაფერი როლები...

მესხი ქუთაისისაკენ გაემგზავრა. ოთხი დღის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო და მაშინ შევდგომოდით რეპეტიციებს, რადგანაც ერთ უმთავრეს როლთაგანს თვით მესხიც თამაშობდა ამ პიესაში. ამ ხანობაში მე გავიგონე რომ კ. მესხს ღალატი უდევს გულშიო:

იმას თურმე იმ თავითვე განეძრახა გამგეობის ხელის შეშლა, რომ ამ სეზონში ვეღარ მოესწროთ «ღალატის» ქართულ სცენაზე დადგმა და მერე-კი, როცა სეზონი გათავდებოდა, თვითონ მას საკუთრად შეედგინა ამხანაგობა და წარმოედგინა ხოლმე «ღალატი» ყველგან; ამაზე მოლაპარაკებაც გაემართა საიდუმლოდ ზოგიერთებთან: სეზონში რაც გვერგება იმას მოგვცემს კომიტეტი... მეტი გზა არ აქვთო. და პიესა «ღალატი» საკუთრად ჩვენთვის გამოვიყენოთ, რადგანაც, იმედია, დიდ შემოსავალს მოგვცემსო. ეს ხმები მართლა გამართლდა: ჩამოვიდა თუ არა მესხი, ყოვლის უმიზეზოდ ამიზეზდა და დაიწყო რაღაც უადგილო ყოყოჩობა. [illegible]: პიესის პატრონი და ბატონი მე უნდა ვიყოო!.. სხვას ხელსაც არავის მოვაკიდებიებ... როლებიც მე უნდა დავარიგო და გუნიას ნაცვლად სხვა ვინმე უნდა დავნიშნოო და სხვანი...

როდესაც მოვაგონე, რომ გუნიას ოთარბეგის როლი მისივე თანხმობით გადაეცა, სათქმელი რომ აღარა ჰქონდა-რა, მედიდურად ბრძანა: მართალია, მაგრამ ახლა აღარა მსურსო. ერთი სიტყვით, მაშინდელი მისი სიტყვა-პასუხი და ქცევა—უხერხული... სასაცილო რამ იყო და მეც «ვიცინოდი», მაგრამ იმ ჩემ სიცილში უფრო სიბრალული და ზიზღი უნდა გამოხატულიყო მოღალატობისა და გაიძვერობისადმი და არა სიხარული და მიკვირს, რომ ვერ გამოუცვნია მესხს. მე მეტს აღარას ვიტყვი. მაგრამ იმ დროს სხვებიც იყვნენ აქ, მათ რიცხვში ადმინისტრატორი და ხაზინდარი გამგეობისა და დანარჩენი იმათ სთქვან, რაც იკადრა იმ საღამოს ბ-ნმა კ. მესხმა. ასე თუ ისე, პირველობა გათავდა მით, რომ მესხმა გამოგვტაცა პიესა ხელიდან: აღარ გაძლევთო,—დაიღრიალა და იმავე დროს რაღაც ეშმაკურის ღიმილით თვითონვე მიგვითითა გ. ყიფშიძის თარგმანზე... ახლა-კი ეჭვი აღარ იყო, რომ დიდი ხნიდან გულში ფარულად ნადები მისი ჭანდრაკული განძრახვები სისრულეში მოჰყავდა და პირველი «ქიშ-ც» უთხრა გამგეობას.

ყიფშიძემ მოგვაწოდა მისი თარგმანი და მეორე დღეს მოვინდომეთ რეპეტიციის განგრძობა, მაგრამ ერთმა არტისტთაგანმა შეგვენიშნა: «ტყუილად რათა სცდებით? მესხი მისს თარგმანს არ გაძლევსთ და სხვა თარგმანით-კი, თუ ნებადართული არ არის, არ შეიძლება თამაშიო. ეხლა რომ კიდეც წარადგინოთ ეგ მეორე თარგმანი, სეზონის გათავებამდი მაინც ვეღარას მოასწრებთ. გვიანღაა, რადგანაც ბევრი დრო აღარა რჩება და ნებართვის გამოტანა ადვილი არ არისო». აი თურმე სად იმარხებოდა ბ. მესხის «ძაღლიცა» და «ღორიც». გამარჯვებული მესხი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მაგრამ საქმე გადატრიალდა და ყიფშიძის თარგმანის ნება-რთვა ერთ დღესვე გამოიტანეს, რასაც, აბა, ვინ მოელოდა და მით უმეტეს მესხი. წაუხდა ჰირნახული, მაგრამ იმისთანა რაინდები გულს არასოდეს არ იტეხენ და ისიც სხვა გზას დაადგა. ალბათ მისის ალალმართლობისათვის საწყალ კრავბიჭს ღმერთმა ხელი მოუმართა და ეფემია მესხისაგან ჯერ დეპეშითა და წერილით უარი მოუვიდა კომიტეტს—ჩემი იმედი ნულა გაქვსთ... ავად ვიქნები და და ვეღარ ვითამაშებო.

გადავეცით როლი ჩხეიძის ქალს, მაგრამ «ჰოი საკვირველებავ!» აქაც კიდევ სიალალ-მართლობამ გასჭრა და დედოფლის როლი აღარც ჩხეიძის ქალმა მიიღო. ახლა-კი ნამდვილად დაამარცხა სცენაზე მოჭადრაკემ, კულისების ჩიგორინმა, დრამატიული გამგეობა ტ სუმბათაშვილის «ღალატი» მესხის ღალატით აღარ გამოუშვა სცენაზე.—საზოგადოება-კი მაინც უცდიდა და წამ და უწუმ გვეკითხებოდა: როდისღა დასდგამთ «ღალატსაო?» მეტი გზა აღარ იყო, მეც გამოვნახე ერთი ვინმე სცენის მოყვარულთაგანი და დავაპირე მისი მომზადება ზეინაბის როლში. ახლა-კი დაღონდა ბ. კ. მესხი და კიდევ სხვა გზას დაადგა: დეპეშა წარმოადგინა მისი დისაგან, რომ ავად აღარ არისო და წერილიც მოუწერია ამ ერთი კვირის წინეთო. და მართლაც, ეს უცნაური წერილი სწორეთ ერთის კვირის შემდეგ წარმოადგინა თვით კოტე მესხმა. აქ გდებულიყო ეს წერილი კანცელარიაში ეს ერთი კვირაა და დღეს მე გამოვნახეო. წერილს მართლა ძველი რიცხვი ჰქონდა, მაგრამ სად იმალებოდა და როგორ იმდენ ხანს ის დალოცვილი, ვეღარ გავიგეთ.

ლეული და სხვა ხელ-წამოსაკრავი, სანამ ცეცხლის მქრობელი მოსულა. როგორც ამბობენ, ზარალი ამ კაცისა ერთობ დიდია.

# ჩვენებური ამბები

**სოფ. დიდიჯიხაიში.** ეს ერთი წელიწადია, დიდიჯიხაიში სულ გამოიცვალა; წინად აქ დიდი მშვიდობიანობა იყო; ახლა-კი ძლიერ გახშირდა ქურდობა, თავ-დასხმა და კაცის კვლა. ამას წინად ერთს, გვარად სანაძეს, დაეცნენ შეიარაღებული კაცები და 60 მანეთი წაართვეს. ერთს, ლეჟავას შვილს, 18 წლის ვაჟს, ღამე დაეცნენ აქაურ ბაზარში, თავის დუქანშივე და დანით მოჰკლეს. მკვლელები დააპატიმრეს. 13 თებერვალს, ღამის ათს საათზედ, თავს დაეცნენ ფეიქაროვის ნოქარს და, რაც ჰქონდა ფულად და ნივთად, წაართვეს. აქაურმა პოლიციამ, რაკი ბოროტ-მოქმედნი ვერ აღმოაჩინა, ისევ ნოქარი დააკავა აი, ა ას ჰქვია, ცხენს ვერ მოერია და უნაგირს დაუწყო მტვრევაო...

აქაური ბაზარი ერთთავად ჭუჭყით არის სავსე და მუხლის თავზე ნაკელი ჰყრია. კაცი არ არის, რომ იმის სისუფთავისათვის იფიქროს რამე; თუ სისუფთავეს არ დაგიდევენ მკვიდრნი, ბანქოს თამაშობაში მარჯვედ არიან. თითქმის ყოველ ღამეს დიდი და პატარა თამაშში ათენებენ. ერთად-ერთი საიმედო ჯიხაიშლებს ქსენონი ჰქონდათ და იმაზედაც კომიტეტის სიმრავლემ და მათმა უხეირო მოქმედებამ გული გაუტეხა მცხოვრებთ, და ვგონებ, ისიც დახურონ მომავალში.

აქეთ ძლიერ გახშირებულია ყვავილი, წითელა და ყელის ტკივილი.

გიო მედოლაძე.

—

**ს. ზენი.** (ზუგდიდის მაზრა). ჩვენს საჩიჯაოს საზოგადოებაში, შარშან ზაფხულში გარდაცვალებულ მამასახლისის მაგიერ, საზოგადოებამ აირჩია მამასახლისად კ. შ., რომელმაც შემოიღო არა-ჩვეულებრივი სასტიკი ღონის-ძიებანი, ისეთი, რომ არა გვსმენია შემდგომ ბატონ-ყმობის მოსპობისა. მისი საზოგადოებისათვის მზრუნველობა მათრახით ცემაა ამა თუ იმ მისთვის უსიამოვნო კაცისა.

ძვირად გავა ისეთი კვირა, ვისმე მცხოვრებთაგანს მათრახით არა სცემოს. ორი გლეხი, მისგან მწარედ ნაცემი, ავად გახდა ისე, რომ მღვდელმა კიდევაც აზიარა და ძლივს სიკვდილს გადარჩნენ. მას ახლავს საზოგადოებისაგან ნაქირავები ჩაფარი და ორი პოლიციის დარაჯი. ხშირად მომხდარა ბაწრით შეკრულ გლეხს სამივე ერთად სცემდნენ უმოწყალოდ. ს. ზენში რამდენსამე დედაკაცსაც ასახელებენ მისგან ნაცემს.

იანვარში აქაურ ორ-კლასიანის სამისტროს სკოლის შენობა აკურთხეს. სადილი გამართა სკოლის ზედამხედველმა და მიიწვია აქაური მღვდლები, სკოლის მზრუნველი, ერთი მასწავლებელი, მამასახლისი და ბავშვების რამოდენიმე მშობლები. მამასახლისმა სრულიად უმიზეზოდ ჩხუბი აუტეხა ერთ იქ დამსწრეთაგანს და რევოლვერით წუთისოფელს გამოასალმებდა, თუ რომ პოლიციის დარაჯნი არ ჩარეოდნენ და არ დაეფარათ. საზოგადოდ აცხადებს, რომ ეს უფლებანი მონიჭებული მაქვსო. ბევრი ნაცემ-დალურჯებული გლეხი მიიქცა საჩივრით ბოქაულთან, მაგრამ ვერა გამოიტანა-რა.

თავ ს დროზედ გაზეთ «ივერია»-ში იყო აღნიშნული, რა უკიდურეს მდგომარეობაში არიან უგზოობით ზენის სოფლის მცხოვრებნი. გუბერნატორის განკარგულებაც არსებობს შესახებ გზის გაყვანისა დ. ხობის გზატკეცილიდან საჩიჯაოს საზოგადოების სასამართლომდე, მაგრამ ყოველივე რჩება «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა». ამ ზამთარში არა ერთი სოფლელი იმსხვერპლა ავადმყოფობამ, რადგან საშუალება არა ჰქონდათ უგზოობის მიზეზით მოეწვიათ ფერშალი ანუ წამალი მოეტანათ დ. ხობიდან.

—ე.

—

**სოფ. ველისციხე.** ველისციხე გაშენებულია ვაკე ადგილზე, ალაზნის ახლო, სიღნაღის და თელავის მაზრის საზღვარზედ. სიღნაღის გადავნიდგან რომ გამოხვალთ, თვალ-წინ დაგეხატებათ მშვენიერი სურათი: სხანს თითქმის ნახევარზედ შუტი ქიზიყი თავისი სოფლებით, რომლებიც გაშენებულია ალაზნის გაღმა ცივ-გომბორის მთის კალთებზედ, გაღმა კავკასიონის მთის კალთებზედ, შუაში მედიდურად მობუტბუტებს მდინარე ალაზანი; ცოტა შორს გასწვდებით თვალს და დაინახავთ სოფელ ველისციხეს, რომელიც ძლიერ გაირჩევა სხვა სოფლებიდგან.

ველისციხის ძირითადი მცხოვრებნი არიან: ქართველები 300 კომლი და სომხები 600 კომლი. ამათ გარდა, დროებით სცხოვრობენ: თათრები, რუსები და ურიები 40 კომლამდე. ზამთრობით ეწვევიან ხოლმე ლეკებიც. როგორც გადმოცემა ამბობს, ველისციხე უოფილა ვახტანგ გორგასლანის დროს. ამას გვიმტკიცებს «ქართლის ცხოვრება», სადაც არის მოყვანილი, რომ მისულა ხოსრო მეფე და შეუმუსრია კამბეჩოვანი (ქიზიყი): ველისციხე, ჯერემის ციხე .. ეს სოფლები თავიანთ ძველ ნაშთებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ერთ საუკუნეში უნდა იყვნენ აშენებულნი. შუა სოფელში არის ძველი ციხე-გალავანი (ეხლა სომხებს უჭირავთ), ციხეს გარედ არის ქართველთა ძველი ეკკლესია (ეხლა გაუქმებულია). ვახტანგ გორგასლანის შემდეგ აქ სოფელი აღარ უოფილა, დიდი ტყე ატეხილა. შემდეგ ლაშა გიორგის, თამარ მეფის ძეს, აუშენებია გალავანი, ეკკლესია და ზაფხულობით უცხოვრია ველისციხეში. მოხუცებულები ასახელებენ ქართველთა ეკკლესიის ახლო ერთს ადგილს (უჭირავს სომხებს), სადაც ლაშა გიორგის თვალი გამოსთხრია. ეს უოფილა მეცამეტე საუკუნის დამდეგს. ლაშა გიორგის შემდეგ ველისციხე ისევ მივიწყებიათ და თავი გაუნებებიათ. მეთვრამეტე საუკუნეში უშოვნია ეს გალავანი და ეკკლესია ერთს მონადირე ქართველ კაცს, სახელად ბეჟანს, რომელიც დასახლებულა გალავანს გარედ. იმას გაჩენია შვილი მამის. მეთვრამეტე საუკუნეშივე გადმოსახლებულან სხვა ქართველებიც და ისევ გაშენებულა სოფელი.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მოსულან სომხებიც, დაუჭერიათ ძველი გალავანი, შიგ აუშენებიათ თავიანთი ეკკლესია, ამას ამტკიცებს სომხების ძველი სასაფლაოს ქვის წარწერები 1810 წლისა. რამდენად მართალია ეს ზეპირ-გარდმოცემა, ცოტაოდენი საბუთები გვაქვს: ბუნდად არის ნახსენები ქართლის ცხოვრებაში ადგილობრივი ციხე-გალავანი, ქართველთა ძველი ეკკლესია; მამასახლისები ჰქონიათ მოწმობა საქართველოს მეფეთაგან, რომელიც წაუღია მღ. ბ. გარბელაშვილს და ჯერ არ დაუბრუნებია. იქნებოდა ბევრი სხვა საბუთებიც, მაგრამ ველისციხე რომ დამწვარა, საბუთებიც შიგ მოჰყოლია. ამ ორმოცდა-ხუთმეტის წლის წინად ველისციხე სულ ერთიანად გადამწვარა, მაგრამ რადგანაც შუაგულ კახეთში მდებარეობს, ხალხი არ შეჰშოვებია ბუნების სტიქიონს და ისევ გაშენებულა სოფელი.

წინად ველისციხეში ბევრი ჭაობები უოფილა და ძლიერ იყო გავრცელებული ციებ-ცხელება. (ბევრჯერ გაიგონებთ ველისციხეზედ მოსიარულე მესტვირეებიდგან შემდეგ ლექსს: წყეულია ველისციხე, ციება და დიდი ჭირი, უმაწვილებმა არ გაუშვა, ბებრებს დაუსივა ცხვირი...). როგორც სჩანს ეკკლესიის დოკუმენტებიდგან, ოცის წლის წინად მიცვალებულთა რაოდენობა ორჯერ მეტი უოფილა დაბადებულებზე და ბევრჯელ მთელი გვარი სულ მთლად ამოწყვეტილა. სხვა სოფლებიდგან რომ არ ემატებოდეს ხალხი, ერთი კაცი აღარ დარჩებოდა ველისციხეში. ეს შენიშნა მთავრობამ, გამართა ქსენონი და დანიშნა ექიმი. ჯერჯერობით მდაბიო ხალხი ექიმებს ცუდის თვალით უყურებს, მაგრამ ექიმისა და ზოგიერთა შეგნებულის ხალხის დახმარებით ჯანმრთელობის საქმე წინ წასწიეს: ამოაშრეს მთლად ჭაობები, ხალხი შეაჩვიეს სუფთა ცხოვრებას და შეამცირეს ავადმყოფობა. რამდენისამე წლის შემდეგ ხალხმა სხვა და-სხვა მიზეზების გამო ექიმი აღარ ინდომა და მთავრობამ ქსენონი გადიტანა ბაკურციხეში. მაგრამ რადგანაც ავადმყოფობამ ისევ თავი იჩინა, ციებ ცხელება საკუთარის ხარჯით გამართეს ქსენონი და მოიწვიეს ექიმი.

ვისაც რამოდენიმე წლის წინად უნახავს ველისციხე და ცუდი შთაბეჭდილება მიუღია, ეხლა რომ ნახოს, სწორედ გაჰკვირდება: ხალხით სავსეა სოფელი. ცხრაასი კომლზედ მეტია, საგანით ერთი ვერსის მანძილზე განზიდული, სიგძით ორზე; კარგი ბ ზა რი აქვს და გაძლიერებულია ვაჭრობა. ორ და სამ-სართულიანი, ევროპიულ გემოვნებაზედ აშენებული ქვითკირის სახლებია, მთელს სოფელში ვერ ნახავთ ჩალით დახურულს, ან წნულს სახლს; ოცში ერთი თუ იქნება კოხტა ფიცრული სახლი. ხალხი ისე სუფთად სცხოვრობს, რომ ნამდვილი ქალაქელები გეგონებათ. არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, აფთიაქი, ორ კლასიანი სამისტრო ვაჟების სასწავლებელი; ჰქონდათ სომხებს ქალების სასწავლებელი, მაგრამ დაკეტა. 1900 წელს ქართველებმა გამართეს დედათა საეკლესიო-სამრევლო სკოლა.

ამ ჟამად სხვა სოფლებში უფრო მეტი ავადმყოფობაა, სანამ ველისციხეში; ახლანდელი ეკკლესიის დოკუმენტები სრულიად არ ეთანხმება წინანდელს; დაბადებულთა რიცხვი ორჯერ მეტია, სანამ გარდაცვალებულთა. გარეგან და შინაგან სიმშვენიერესთან ველისციხელებს აქვთ ერთი ფრიად შესანიშნავი ნაკლულევანება—წყლის უქონლობა. ველისციხეს გვერდზედ ჩამოუდის ჭერემის ხევი, რომელიც ხან ისე ადიდდება, რომ ნახევარი სოფელი თან მიაქვს. ზამთრობით, როცა წყალი გაიყინება, მთელი სოფელი რამდენსამე თვეს უწყლოდ რჩება და მცხოვრებლები იძულებულნი არიან რამდენიმე ვერსის სიშორიდგან ზიდონ ერთობ უხეირო წყალი. არც ზაფხულობით არიან კარგს ყოფაში წყლის გამო: სამი თვე ან უწყლოდ, არიან, ან წუმპეს სვამენ. ადგილობრივი ინტელიგენციაც ცდილობს წყლის საქმის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ საზოგადოებისათვის ვერა შეუსმენიათ-რა. სულ ამას გაიძახიან: მამაპაპას ამ წყლით უცხოვრია და ჩვენზედ ჯახშრთელები იყვნენო.

ინტელიგენციამ მაინც არ დასტოვა თავისი მეცადინეობა ამათ ხელი შეუწყოს მკუზანის საუფლისწულო მამულის მოასამსახურეების, რომელთაც თითონ გამოჰყავთ წყარო მთიდგან. ამათ ველისციხელები შეუერთდნენ და შეეცდიან არხის გაჭრაში, მილების გაკეთებაში, და ერთად გამოჰყავთ წყარო. ველისციხის საზოგადოებამ შეადგინა განაჩენი და სამს კაცს მიანდეს ამ საქმის წარმოება. ვისურვებთ, რომ ამ სამმა კაცმა გამჭრიახობა გამოიჩინონ და არ გაუშვან ხელიდგან ამისთანა იშვიათი შემთხვევა.

ეს სამი წელიწადია, რაც ველისციხელებმა გ ნათლების საქმესაც მოჰკიდეს ხელი. სხვა და-სხვა საქველმოქმედო საქმისათვის მართავენ ხოლმე წარმოდგენებს საქალებო სკოლის შენობის ასაშენებლად სკოლის გამგე მღვდლისა, ადგილობრივის ექიმისა, მასწავლებლებისა და ადგილობრივის ინტელიგენციის დახმარებით დაიწყეს შემოწირულების შეგროვება. ამავე აზრით გამართეს სალიტერატურო დილა 21 დეკემბერს, წარსულს 1903 წელს, სამინისტრო სკოლის შენობაში, მღვდლის გიორგი ციბაძაშვილის მეთაურობით. დიდი შრომა და დაწლი გასწიეს აგრეთვე ადგილობრივმა ექიმმა და აქაურ სასწავლებლის მასწავლებლებმა. საზოგადოდ ამ დილამ ხალხზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა იძახდა, რაცაც სასწაული ვნახეთო, ისე მოხიბლეს შეგირდებმა კარგის კითხვა-გალობითა. ხალხმა შესწირა საქალებო სკოლის სასარგებლოდ რვა თუმანი. ხალხის თანაგრძნობით წახალისებული კიდევ გამართეს ველისციხეში, ადგილობრივის ექიმის ნიკოლოზ ჯანდიერის მეთაურობით, «შობის ხე» დარიბთათვის საჩუქრებით, 26 იანვარს, სადამოს, მიხეილ ქადანთაროვის დარბაზში.

დარიბი ბავშვები, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, რამდენიმე ჯგუფად დაყოფილნი, გარშემო უვლიდნენ შობის ხეს. ყველაზედ სასიამოვნო იყო, როდესაც იმღერეს გურული სიმღერა „მივალ გურიაში“ და ყველა ბავშვებმა შემოუარეს შობის ხეს სიმღერის ტაქტზედ. უჩვენეს რამდენიმე ბუნდოვანი სურათები და ბოლოს დაურიგეს ღარიბ ბავშვებს საჩუქრები.

ბავშვებისა და დედ-მამას სიმხიარულეს საზღვარი არა ჰქონდა. ველისციხის ინტელიგენციაც დასტკბა ბავშვების უურებით. აქაურებისათვის საკმაო ჯილდო იყო, რომ იმათმა ნივთიერმა დახმარებამ რამდენი სიხარული მოუტანა ბედისაგან დაჩაგრულს, მშიერს და ტიტველს ბავშვებს. დიდის მადლობის დირსნი არიან მეთაურნიც და შემომწირველნიც ამ სასარგებლო საქმისა. ვისურვებთ, რომ ველისციხეში მოამსახურედ მოსულთ მოეკვეთ ისეთი მხნეობა და ხასიათის სიმტკიცე გამოეჩინოთ, რომ შრომას მოუმატონ და საქმე კეთილ წარმატებაში წაიყვანონ. ვისურვებთ, რომ ველისციხის საზოგადოებამ გაუწიოს თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება, უფრო მეტის გრძნობით მოეკიდონ და არ დაუკარგონ ხალისი ამ კეთილ-მზრახველ კა ცთა.

დროებით ველისციხელი

## „ივერიის“ ფოსტა

**ქიზიყელს.** თქვენს წერილს არ დავბეჭდავთ. უხერხულობა გამოდის; მაგრამ არ იქნება ბრძოლა უმეცრების წინააღმდეგ. მეორე წერილს-კი ვბეჭდავთ.

**ნიკოლოზ ლაქიას.** თქვენს წერილს სიამოვნებით ვბეჭდავთ.

**სარიყამიში. დ. ქ—ძეს.** ლექსებ «ამოხავნესი» და «ნახინა» არ დაიბეჭდება. მოთხრობები და წერილები კი. ნუ დაგვივიწყებთ

**ა. ბა—ლის.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მაგისათვის სხვა დონისძიებაა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 თებერვალი.

**სუეცი** («რეიტერის სააგენტო»). საჩწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, რომ რუსეთის სამხედრო გემებმა შეიპყრეს სუეცის არხში ორი ინგლისისა და ერთი ნორვეგიის გემი, ნახშირით დატვირთული.

**თავრიზი.** როგორც ისმის, ინგლისს აძლევენ კონცესიას სპარსეთის მინერალურ სიმდიდრეთა დასამუშავებლად. კონცესსია ასის წლით უნდა იყოს აღებული.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო») ქ. დალნიში სავაჭრო აგენტად დანიშნულს მორგანს პირველად ებრძანა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო დალნისაკენ, მაგრამ ეს განკარგულება ჯერჯერობით შეჩერებულ იქმნა. მორგანი მოუცდის შემდეგს ბრძანებას, რადგანაც ამ ჟამად განზრახვა არა აქვთ ძალად მოახვიონ ის თავზედ რუსეთის მთავრობას.

**რომი.** თანახმად მოლაპარაკებისა რუსეთსა, იაპონიასა, ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის, გადაწყვეტილია, რომ ოფიცრები და მეზღვაურნი, რომელნიც შეიფარეს ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის გემებმა ჩემულპოში, გაგზავნილ იქმნებიან რუსეთში იმ პირობით, რომ ომში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

---

ამ წერილს თანვე მოჰყვა ქ ნ ეფემია მესხის ქალიც და მოითხოვა: გადმომეცით როლი, მე მზათა ვარ ჩემი პირობა შევასრულოვო. საკვირველია, აქაც კიდევ სასწაული: იმავე დროს ჩხეიძის ქალმაც მოიბრუნა გული და განაცხადა: მეც ვემზადები, რომ დედოფლის როლში გამოვენაცვლო ხოლმე ეფემიასო, რადგანაც უეჭველია, ბევრჯელ მოგვიხდება «ღალატის» განმეორებაო. ქ-ნმა ეფემიამ სხვა პირობაც დაუდვა გამგეობას: 1) უთუოდ ჩემი ძმის თარგმანით უნდა იხელმძღვანელოთო და 2) რეჟისორიც ჩემი ძმა უნდა იყოსო.

აი, ნამდვილი მიზეზი, თუ რად ამოვყავი მე თავი იმ ხანებში ქუთაისში და არა ის, რასაც კოტე მესხი ამბობს, რომ ვითომც მე არ მდომებოდეს «ღალატის» დადგმა და გამგეობას გავეტყუებინო ქუთაისისაკენ. ქუთაისიდან დავბრუნდი სწორედ წარმოდგენის დღეს და უკანასკნელს რეპეტიციას დავესწარი, როგორც კერძო პირი, და კიდევაც საყვედური გამოვუცხადე: მე რად გამოგიცხადებივართ რეჟისორად-მეთქი?

ამ რეპეტიციის დროს ბევრმა რამ დამარწმუნა, რომ „ღალატის“ წარმოდგენა სირცხვილს გვაჭმევდა. ყველა რომ არ ჩამოვთვალო, საკმაოა ეს ერთი მაგალითიც: როდესაც გლახა ანანია დედოფალს ელაპარაკება ალეგორიულად, ვითომდა ცხენებზე, მაგრამ ნამდვილად-კი მეფის მემკვიდრეზე აგულისხმებს, სხვათა შორის, ამბობს: მის ძარღვებში, ესე იგი ირაკლის ძარღვებში, ერთი წვეთი არც სპარსულისა და არც არაბულის სისხლისა არა ურევია-რაო. ჩვენებურია და მის ძარღვებში სდუღს მეფური სისხლი მეჩვიდმეტე ჩამომავლობისაო. კ. ყიფიანმა, რომელიც ამ ანანიას როლს თამაშობდა, სთქვა: «პირველ ნახვაზედვე შეატყობ, რომ ჩვიდმეტი მეფის საჯინიბოს მოდგმისააო». მე გავვოცდი და რომ ვკითხე ყიფიანს, ეგ რას ნიშნავს-მეთქი?—არა მესმის-რაო, მიპასუხა,—მაგრამ თარგმანში ასე სწერია და რეჟისორიც ძალას მატანსო. აი როგორ ჰქონდა შეგნებული პიესის აზრი ბ-ნ კ. მესხს, როგორც მთარგმნელს, როგორც რეჟისორსა და როგორც გამოცდილს და თავმომწონე არტისტს! მეტს აღარას ვიტყვით. ესეც საკმარისია და ადვილად მისახვედრი, თუ რად მოგვჭრა თავი ქართველობას «ღალატის» პირველმა წარმოდგენამ. მაგრამ მაინც, მიუხედავად ამაებისა, ოთხჯერ ბათუმში და ქუთაისში წარმოადგინეს «ღალატი» და სამჯერაც ტფილისში. როგორც იყო, უკანასკნელმა ორმა წარმოდგენამ გაასწორა პირველი უხერხულობა. ქ-ნი მესხის ქალი ყველაში იღებდა მონაწილეობას, სანამ არ წავიდა, და მერე-კი, როდესაც ჯერი მიდგა ჩხეიძის ქალზე, რომ ეთამაშნა, მან მოულოდნელად კ. მესხთან ერთად თავი დაანება ქართულ სცენას. დღესაც ვერ წარმომიდგენია, თუ რა საფუძველი ჰქონდა ჩხეიძის ქალს ამგვარის მოქცევასა და მესხმა-კი თამამად აღიარა: «მე საუკადრისოდ მეჩვენა მისთანა მეთაურებთან ერთად მოღვაწეობა, როგორიც წლევანდელ სეზონში ჩვენა გვყვანანო» და სხვანი. ეს სწორედ რაინდული პირდაპირობაა! ეს კი არის მხოლოდ საფიქრებელი: სანამ ამ დალოცვილმა თვისი ჭანდრაკული განძრახვა სისრულეში არ მოიყვანა, სანამ სეზონი არ მიიწურა და სანამ რაც უნდოდა არ გაინაღდა, სად იყო მისი მაღალი გრძნობები? ეჰ, სიტყვას ბაჟი არა აქვს და ამბობს, თუმცა იმავე დროს გულში კარგათა გრძნობს, რომ დაადალატა ყველა და დააზარალა. საზოგადოებასაც საყვედური ათქმევინა. დიაღ, შეისრულა გულის წადილი. გაიმარჯვა. მაგრამ განა ყველა გამარჯვება სატრაბახო და სასაცილოა?

აი, ნამდვილი ისტორია «ღალატის» თავგადასავლისა. უნდა გამოვტყდეთ, რომ მისი ასის თავიც არ გვითქვამს, რისიც თქმა შეიძლებოდა, მაგრამ რაცა ვსთქვით, ვგონებ, ისიცა კმარა საქმის გასათვალისწინებლად. და თუ მეტი რამე მითქვამს, იმედია, ქართული დასის არტისტები გამოესარჩლებიან ბ-ნ მესხს და ყველანი ერთად დაამტკიცებენ, რომ რაცა ვსთქვი ბ-ნ მესხის შესახებ, ის არ ყოფილა და არც დრამატიულ საზოგადოების კომიტეტი იკადრებს, რომ მკითხველი შეცდომაში შემაყვანინოს უმართებულო სიტყვებით. «ცნობის ფურცელში» დასტამბულ სტატიას რომ არ გამოვეწვიე საპასუხოდ, მე ჯერობით, დრომდი, არ მინდოდა მეთქვა რამე წლევანდელ სეზონზე. მით უფრო, რომ სასაყვედურო არავისგან-რა მიმიძღვის და მხოლოდ მევე უნდა ვუსაყვედურებდე ჩემ თავს, რომ ქართულ სცენაზე ფეხი შემოვდგი და თუ შემოვდგი, რატომ იმ თავითვე არ გავშორდი? მაგრამ აქაც მაქვს შესაწყნარებელი მიზეზები.

ერთი რომ მეგობრები მირჩევდნენ: რაც უნდა გაგიჭირდეს, უნდა მოითმინო და, სეზონის გათავებამდე თავს მაინც ნუ დაანებებო! ერთბაშად გასწორება საქმისა შეუძლებელია, მაგრამ მაინც, რაც შეიძლო და როგორც, ეცადე ხელი შეუწყო ნელ-ნელაო!.. და მეორეც ის, რომ მე თვითონ მინდოდა გამეგო ზოგი რამ:

1) რა მიზეზია, რომ ქართულ სცენაზე ამდენი ხნის განმავლობაში, ნიჭიერი აღარავინ გამოჩენილა და ძველების ამარად ვრჩებით?

2) რისი ბრალია, რომ წმინდა ქართულის ნაცვლად რაღაც ბაზაზ ხანური ენა გვესმის სცენიდან?

3) რატომ ისე არ ადგენენ პიესას, როგორც ავტორებს უწერიათ? რა ნება აქვთ მოთამაშეებს, რომ ზოგს ჰკვეცავენ, ზოგს თავისას უმატებენ, ამახინჯებენ პიესებს და თავის საკუთარს გემოზე ადგენენ? და არა თუ სხვების, შექსპირის პიესებიც ველარ გვიცვნია: პეტრუჩიოს მაგიერად ვიღაც კუდაბზიკა იმერელს გვიხატავენ და შტოკმანის ნაცვლად ჩვენებურ ბანკობიას მოთამაშეს. ენატარტალა ზუთხის მაძიებელ მოკენჭეს!

4) რა მიზეზია, რომ არტისტებს უმეტესად არა თუ როლები არა აქვთ ხოლმე შეგნებული. ხეირიანადაც არა სწავლობენ მათ სათქმელ ორიოდე სიტყვას და სუფლიორს იერიქონის საყვირივით აღრიალებენ?

5) რატომ არ ხერხდება ქართულ სცენაზე ახალ-ახალი პიესების დადგმა და ძველი რეპერტუარით რად გვაბეზრებენ თავს?

6) რად ასე შეუპოვრად და კადნიერად ეპყრობიან საზოგადოებას, რომელსაც უკანასკნელი წვლილი შემოაქვს თეატრში?

და ბევრი რამ კიდევ სხვაც ამგვარები! ესეები ყველა გამოვიკვლიე, შევისწავლე და მსურს მოვახსენო საზოგადოებასაც ამ მოკლე ხანში, იმიტომ-კი არა, რომ ვინმეს ვაწყენინო და სხვის პირადობას შევეხო... არა! მხოლოდ იმ განზრახვით, რომ იმ გამოქვეყნებამ ეგების საგზებელი მოუტანოს ქართულ თეატრს და დღევანდელი «კოჭობია-ლაზრობაის» ნაცვლად, რომელსაც ჩვენ ნამეტანის ნდომით ხელოვნებად აღვიარებთ, მართლა და ნამდვილმა დრამატიულმა ხელოვნებამ მოიკიდოს ფეხი ქართულ სცენაზე. და მანამდე-კი აღარას ვიტყვი.

აკაკი.

ბით, რომ ამ ომში კვლავ არ მიიღონ მონაწილეობა.

**მოსკოვი.** გაიგზავნა სანიტარული რაზმი საზოგადოებისა „განმიქარვე მწუხარებანი ჩემნი“.

**სევასტოპოლი.** 15 თებერვალს კრონშტადტიდგან წავიდა ჩქარის მატარებლით ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი, რომელიც დაინიშნა ბალტიის ზღვის მეორე დივიზიის უფროსად.

წმიდა ვლადიმირის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს.

**ლუკი.** ლუკელებმა ხატებით გააცილეს მანჯურიის ჯართა უფროსი ა. ნ. კუროპატკინი.—შესდგა კომიტეტი შესაგროვებლად შემოწირულებათა ფლოტისათვის.

**ვენა.** 16 თებერვალს ათას კაცამდე მოდიოდნენ ჩეხელ პოეტის კოლლას სასაფლაოდან, იმათ ქუდები მოიხადეს და გაჩერდნენ რუსეთის ელჩის სასახლესთან; დაიძახეს «ურა», რუსეთის ხალხისადმი მიმართული და იგალობეს ჰიმნი «ჰეი სლავიანებო» და აგრეთვე რუსეთის საერო ჰიმნი. სასახლეში ელჩს დეპუტაცია გაუგზავნეს, რათა გადაეცა ელჩისათვის ავსტრიელ სლავიანთა თანაგრძნობა. გრაფმა კაპნისტმა უპასუხა,—სლავიანთა თანაგრძნობა რუსეთის ერისადმი, რომელსაც ის მუდამ დიდად აფასებდა, ამ მძიმე დროს უფრო გულს ხვდება, და სთხოვა მიიღონ მადლობა რუსეთისა და რუსეთის ერისა. როდესაც ეს სიტყვები გადასცეს მანიფესტანტებს, კვლავ გაისმა რუსეთის ერისადმი თანაგრძნობის ხმაურობა.

**ლონდონი.** სამხედრო ბიუჯეტში 1904—1905 წლ. აღრიცხულია 28.900,000 გირ. სტერლინგი, ე. ი. 5.600,000 გირვანქით ნაკლები. არტილერიის მთლად შეიარაღება ახალის იარაღით დათავდება 1907 წ. მარტის ბოლოს, ამასთან უფრო გაძლიერდება ინდოეთის ჯარების მდგომარეობა.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგენტო»). აქ ამბობენ, იაპონიის ორი სამხედრო გემი სასებოში წავიდა შესაკეთებლადაო.

**ჩემულპო.** («რეიტ. სააგენტო»). ამ უკანასკნელ დღეებში იაპონელებმა გადასხეს ნაპირზე 20 ათასი კაცი ექვსის ბატარეითა.

**ლიაოიანი.** (სპეციალური). 1 საათსა და 20 წუთს, დღით, მოვიდა ამბავი, რომ რუსეთის მოწინავე ცხენოსანმა რაზმმა უკვე გაიარა კორეიაში 200 ვერსი და ჰქონდა პირველი შეტაკება იაპონელთა მოწინავე რაზმთან, რომელიც პენიანიდან გამოვიდა. იაპონელნი დაამარცხეს. გენერალმა ლინევიჩმა გაჰგზავნა ქვეითა ჯარის კორპუსი ცხენოსანთა გასაძლიერებლად და ჩვენის გამაგრებისათვის ჩრდილოეთ კორეიაში.

**მუკდენი.** (სპეციალური). 12 და 13 თებერვალს პორტ-არტურზედ იერიშის მიტანის შემდეგ, მტერს ახლად აღარა დაუწყია რა. 27 იანვარს მომხდარმა ბრძოლამ, უეჭველია, მტერი გააფრთხილა. თუმცა ამითი ზარალი ოფიციალურად არ ვიცით, მაგრამ, უეჭველია, საგრძნობელია. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ იაპონელებს ეგონათ პორტ-არტურს ისევე მალე ავიღებთ, როგორც ამ ათის წლის წინად ჩინელებს წაართვეს. ამ გაუმარჯვებლობამ შეაწუხა ხალხი იაპონიაში, სადაც ეგონათ, ადვილად გავიმარჯვებთო. მდგომარეობა ჯარისა საუცხოვოა; ისინი გულდამშვიდებით ელიან მომავალს ამბებს, როგორც მთლად რუსის ერი, რომელსაც სწამს თვისი შეუმუსრაობა.

**პეტერბურგი.** ამერიკის დეპეშათა სააგენტოს «ასოციეტედ პრესს»-ის პეტერბურგის წარმომადგენელმა დეპეშა მიიღო ვაშინგტონიდგან, საზღვაო სამინისტრომ აცნობა სააგენტოს შემდეგი განცხადება ამერიკის გემის «ვიკსბურგის» კაპიტანისა, რომელმაც ვითომ რუსის მეზღვაურთ არ უშველა ჩემულპოში: «პირველად მე გავუგზავნე «ვარიაგს» სამკურნალო დახმარება და, რაწამს შევიტყე, რომ ეკიპაჟი გემსა სტოვებს, მაშინვე გავგზავნე სამი ნავი რუსეთის მეზღვაურთა გადასაყვანად ინგლისისა და იტალიის გემებზე. «ვარიაგი» ხუთ საათს იყო კიდევ გაჩერებული წყალზე მეზღვაურთა გადმოსვლის შემდეგ. რომ გარემოება ყოველ მხრივ გამოირკვეს, საჭიროდ მიმაჩნია დავუმატო, რომ გემი «ვიკსბურგი» მეტად მცირეა, კაპიტანს არ შეეძლო რუსის მეზღვაურნი მიეღო და ამის გამო გაგზავნა ინგლისისა და იტალიის გემებზე. იმის გამო, რომ «ვიკსბურგის» უფროსი არ მიემხრო საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის გემების უფროსების აზრს ჩემულპოში, ოფიციალურად გამოირკვა, რომ ამერიკის საზღვაო კანონების თანახმად, ამერიკის ფლოტის ოფიცერს არა აქვს უფლება სადიპლომატო ანუ საპოლიტიკო საქმეში მონაწილეობა მიიღოს, თუ რომ ინსტრუქცია არ მიუვიდა პირდაპირ ვაშინგტონიდგან. ამ შემთხვევაში «ვიკსბურგის» უფროსის უარი იმით აიხსნება, რომ არ შეეძლო დაჰკითხებოდა თავის მთავრობას.

**შანჰაი.** («რეიტ. სააგენტო»). სამშაბათიდგან ბაოდინფუს გაისტუმრეს ოთხი მატარებელი ჯარის გადასაყვანად ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრისაკენ. უკანასკნელი ეშელონი 16 თებერვალს წავა. სულ გაგზავნილია ათი ათასი კაცი.

**პარიჟი.** ლუბეს მისვლა რომს ოფიციალურად დანიშნულია 11 აპრილისათვის.

**ვენა.** საიმპერიო მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მარტის დამდეგს (ახ. სტ.) მოიწვიოს საბაჟო კონფერენცია, რომელმაც უდა გამოარკვიოს, რა ცვლილება შეიტანონ აწ არსებულ სავაჭრო ხელშეკრულობაში გერმანიასთან.

17 თებერვალი.

**პეტერბურგი.** 16 თებერვალს გარდაიცვალა სამხედრო მინისტრად ნამყოფი გენერალ-ადიუტანტი ვანოვსკი. მამულის სიყვარულით გამოწვეული შემოწირულებანი: კისლოვოდსკის ყრილობას შეუწირავს—25,000 მ., არზამასის საბჭოს—200 მ., ვაჭართა საზოგადოებას—700 მ., მინსკიდგან საურთიერთო ნდობის მეორე საზოგადოებამ გადასდო ორი პროცენტი დივიდენდისა; მოქალაქეთა გამგეობამ—500 მ., ჩერეპოვეცის საბჭომ—1,000 მ., მოსკოვიდგან სათავად-აზნაურო კლუბმა—100,000 მ-, ფლოტის გასაძლიერებლად—25,000 მ., მთ.-სარდლის კუროპატკინის განკარგულებაში—25,000 მ. ლაზარეთების მოსაწყობად; რუსეთის დასაზღვევ საზოგადოებამ გამოიღო 25,000 მანეთი დახოცილ ჯარის-კაცთა ცოლშვილის დასახმარებლად; სუმიდან—საბჭომ 10,000 მ., ლიბავიდამ—საბჭომ 15,000 მ., ნოვო-ჩერკასკიდგნ—ძმათა შაპოშნიკოვებმა 10,000 მ. და მოხელეთ ჯამაგირის პროცენტი; სიმბირსკიდან—საზოგადო კრებამ 1000 მ., ბერდიანის მაზრის მენონიტთა ს. გნადენფელდის ყრილობამ დაადგინა გაიწეროს ყველა მამულის პატრონმა დესეტინაზე 50 კაპ. მომავალ შემოსავლის ანგარიშში ყრილობამ უკვე გადასცა გუბერნატორს 26,945 მ., ელაბუგიდან—საბჭომ 2000 მ., ხელის მოწერით - 5175 მ., გდოვიდან - საერო კრებამ—5000 მ., ის ნახევარ მილიონი, რომელიც შესწირა მოსკოვის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებამ, ასე გაანაწილა: 250,000 მ. ფლოტისათვის; 50,000 მ. გენერ.-ადიუტანტის კუროპატკინს ლაზარეთებისთვის, დანარჩენი ფული მოძრავ სასანიტარო რაზმებისთვის და თბილ ტანისამოსის სასყიდლად ჯარისათვის; პრიამურიის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მოხელეებმა გადასდეს ორი პროცენტი ჯამაგირისა ფლოტის გასაძლიერებლად, ამურისა დ პრიმორის ოლქების აქციზის მოხელეთ გადასდეს ორი პროცენტი ჯამაგირი წითელ ჯვრისთვის; ვერხნეუდინის ებრაელთა საზოგადოებამ შესწირა 500 მ. ომით დაზარალებულ ჯარის-კაცთა ცოლშვილის სასარგებლოდ; ჩიტას ებრაელობამ ხელის მოწერით შეაგროვა და შესწირა: ფლოტის გასაძლიერებლად 1887 მ. დაჭრილთა სასარგებლოდ—950 მ. და სათადარიგო ჯარის-კაცთა ცოლშვილისათვის—950 მ.

**ბრესტი.** კრეისერი «დასსასი» და ოთხი ნაღმიან გემების გამანადგურებელი წავიდა შორეულ აღმოსავლეთს,

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). საზოგადოებათა პალატა. როცა შეეკითხნენ, სტატს-სეკრეტრის თანაშემწემ პერსიმ სთქვა: შანჰაიგუანის ფორტების ნაწილი, რომელიც წინად რუსებს ეჭირათ და როცა დაცალეს, ფრანგების ხელში გადავიდა, ისევ რუსების რაზმმა დაიჭირა. ეს რაზმი ჩამოვიდა ტიანძინიდან.

**მოსკოვი.** სხვა-და სხვა გუბერნიის მარშალთა კრებამ დაადგინა: დააარსოს საერთო კასსა შემოწირულებათა და უმთავრესი გამგე კომიტეტი მოსკოვის საგუბერნიო წინამძღოლის თავმჯდომარეობით. წევრებად იქნებიან იმ გუბერნიის წარმომადგენელნი, რომელნიც ფულს შესწირავენ.

**ვლადივოსტოკი.** მოგონილია ის ამბავი, ვითომ იაპონელები გადმოსულან პოსიეტში.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

### პეტერბურგის ბირჟა

10 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65. |
| ბირჟის დისკონტი | 5½—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 92 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 356 წვ. გაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 303 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 240 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამო 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ3

**ე) შორაპნიდან:**

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


## განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფურ ას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ბინა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

**ხეხილის ნერგები**

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება წურეძლოთთიწუ.ს (10—4)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქაჯანა**

ახალი წიგნები

**წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს**

გამოცემა.

| | |
|---|---|
| **გრიგოლ ორბელიანის ლექსები** სურათით | 20 კ. |
| **წმინდა გიორგის რაზმი** | 5 „ |
| **სამეგრელოს სერო სკოლები** ლოლუას | 5 „ |

ჩვენი გამოცემანი.

| | |
|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა | 15 „ |
| **თამარ მეფე** | 5 „ |
| **ვაჭრული ჭკუა** | 5 „ |
| **დათუნა გოცირიძე** და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა | 5 „ |
| **პატარა ჩონგური** ლექსები (დედა-ენა) | 5 „ |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | 5 „ |
| **ორი ქოსატყუილა** / **ბიჭია მენახვირე** / **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი | 10 „ |
| **აბრამის და იობის ლექსი** | 3 „ |
| **სურათი თამარ მეფისა** | 5 „ |
| **კულტურა** ლიპერტისა | 50 „ |
| **ლექსიკონი** რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა, კ. ყიფიანისა | 50 „ |

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.

ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.** 10—7

მსწრაფლ მბეჭდავი

**სტამბა**

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

**„მწყემს“-ზე**

და

**რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე**

XIX

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | ორივე გამოცემა . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით . 4 მ. | 6 თვით „მწყემსი“ . 2 მ. |
| რუსული . 3 მ. | რუსული . 2 მ. |
| | ორივე გამოცემა . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლომბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ ხამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

**НА 1904 ГОДЪ**

на ежедневную политическую, и литературную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

**(XXI-й годъ изданія)**

ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ БУДЕТЪ ВОЗОБНОВЛЕНО СЪ 15-го ЯНВАРЯ 1904 г.

Подписчики нынѣшняго года, какъ городскіе, такъ и иногородные, желающіе подписаться на будущій годъ, вносятъ 6 руб. за годъ и 3 руб. за полгода. Новые же подписчики на обычныхъ основаніяхъ вносятъ 7 руб. за годъ и 4 руб. за полгода.

Допускается разсрочка платежа. при подпискѣ—4 р., къ 1-му іюня—3 р. для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Лицъ, желающихъ подписаться, контора проситъ увѣдомить ее о томъ и внести плату заблаговременно, чтобъ успѣть заготовить адреса.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты. Барятинская ул. д № 8.

Редакторы Г. и В. Тумановы. Издатель К. Тумановъ.

Печатается и въ среднихъ числахъ января поступитъ въ продажу составленная редакціею „Нов. Об.“ книга:

**Къ 20-лѣтію изданія „Новаго Обозрѣнія“**

цѣна съ пересылкой—30 коп.

Годовые городскіе и иногородные подписчики „Нов. Об.“ получаютъ эту книгу безплатно.